სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ერი

1993
აგვისტოს
8
ივლისი
№27 (10618)
ფასი 10 კუპონი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენვე უნდა ვუშველოთ

ვინც კი ოდნავ მაინც იცნობს საქართველოს ისტორიას, ნათლად წარმოიდგენს ჟამთა სიავის—გან მრავალგზის დარბეულ-აშლილ ჩვენს სამშობლოს. მტერი ხან ვაზს გვიჩეხავდა, ხან სალოცავ ტაძრებს გვიწვავდა. დევნიდა მშობლიურ ენას, ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს. ათასობით ოჯახს მოწყვეტილი ყმაწვილები ცხრა მთას იქით ამთავრებდნენ თავიანთ გაუხარელ ყოფას. დიახ, იყო მუხანათობა, ღალატი, შური მაგრამ იმავდროულად იყო მამულისათვის თავგანწირვა, მებრძოლი, დაუთრგუნველი გენი, რითაც მივიკვლევდით გზას სამართლიანობისკენ, თავისუფლებისკენ.

ქართველი ხალხის ეს გაუტეხელი ოპტიმისტური ბუნება თავის თავში შეიცავს ერთგვარ ტრაგიზმსაც. ეს სულისკვეთება იგრძნობა დღესაც. ათასი გაჭირვებით გულშეღონებულნი გაჭელებით ვებრძვით შინა თუ გარე მტერს.

ქართველთა მოძულე ძალებს აშკარად განუზრახავთ ჩვენი ეროვნული ინტერესების ყოველნაირად დათრგუნვა. ამ მიზნით მიმართავენ სხვადასხვა ჯურის პროვოკაციებს. მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენსავე მიწაზე აგვიფეთქეს ვერაგულად ჩადებული ხანგრძლივი მოქმედების ნაღმი—აფხაზური კონფლიქტი.

ბუნებრივია, მავანს გაუჩნდება კითხვა: რა გზას უნდა მივმართოთ, რათა თავი დავაღწიოთ შექმნილ განსაცდელს? ის ევ და ისევ შინა აშლილობის ძმათა შორის უთანხმოების დაძლევა. უნდა გამოინახოს აფხაზეთის საომარი კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოგვარების გზა.

გვეყოს სიხლის ღვრა, ცრემლებით, შავი ძაღებით ქართველ-აფხაზთა ოჯახების შემოსვა. ამისთვის შეგვაჩვენებს შთამომავლობა.

დიდმა ვაჟამ ბრძანა: „სოფლისა წესი ესეა, ჩვენ წავალთ, სხვები რჩებიან". სოფლის ამ მრავალ წესთაგან უმთავრესია, ერთი რამ, რომ ახლანდელმა თაობამ კეთილი მარცვალი ჩააგდოს ხნულში კეთილი მერმისის მოსაპოვებლად. ყველამ უნდა ვიღვაწოთ იმისათვის, რომ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა ბოლოს და ბოლოს იყოს თავისუფალი, ქართველმა კაცმა ლაღად გაშალოს მხრები მამაპაპათა ძვლებით გაპოხირებულ მიწაზე.

მაკა ხვინგია.

ექსპრეს ინტერვიუ

დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობს აფხაზეთში. ოჩამჩირე ფრონტის წინა ხაზი გახდა, აფხაზი სეპარატისტები ცდილობენ სოხუმს სასიცოცხლო გზა გადაუჭრან და საბოლოოდ დასცენ იგი.

ოჩამჩირესთან გამართულ ბრძოლაში ჩაებნენ საქართველოს ეროვნული გვარდიის მებრძოლები და ზუგდიდელებიც. ჩვენი კორესპონდენტები შეხვდნენ საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსს, გვარდიის პოლკოვნიკს ვახტანგ (ლოთი) ქოგალიას. აი, რა გვითხრა მან:

„ჩვენი მიზანია ტამიშის განთავისუფლება"

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურ მხარესთან გვქონდა რაუნდი მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და როგორც იცით, ჩვენი შენაერთების ერთი ნაწილი ოჩამჩირეში, სამშვიდობო ზონაში იდგა, აფხაზებმა დაარღვიეს პირობა. ტამიშის ზონაში ჩამოსხა დესანტები, — დაქირავებული „ბოევიკები" და შეეცადა ძირითადი სასიცოცხლო გზა მოეჭრა სოხუმისთვის, რაც გამოიწვევდა მის საბოლოო დაცემას. ახლო სოფლებში მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტა. ეს იყო ქართველების ნამდვილი გენოციდი. ჩვენ იძულებული გავხდით მიგვეღო ყოველგვარი ზომები. დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ვინც არ უნდა იყოს ის, აფხაზური მხარის თუ ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი.

ჩვენი ბიჭები მთელი შემართებით ჩაერთვნენ ბრძოლებში ტამიშში თითქმის გათავისუფლებულია. დარჩენილია რაღაც კილომეტრნახევრიანი ზოლი, რომელსაც ჯერ—ჯერობით აფხაზები აკონტროლებენ. მაგრამ. დარწმუნებული ვარ ხვალ და ზეგ ტამიში მთლიანად ჩვენი იქნება.

ტამიშთან ბრძოლებში ძირითადად დაკავებული იყო ანაკლიის გარნიზონი (ს. ყელენტი), ზუგდიდის საკომენდატო ასეული (ბ. ზარანდია) და ზუგდიდელ მოხალისეთა ლაშქარი. სამწუხაროდ, არის მსხვერპლი, არიან დაღუპულებიც და დაჭრილებიც. მებრძოლები ვაჟკაცობის მაგალითს იძლეოდნენ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, მათ გაუჭირდათ ურთიერთობა აფხაზეთში მებრძოლ სხვადასხვა შენაერთის წევრებთან. არ არის დასამალი. ბევრ მათგანში ჩვენმა მებრძოლებმა ზუგდიდის „აღების" მონაწილეებიც შეიცნეს.

ჩვენი მიზანია ტამიშის გათავისუფლება. შემდგომ შეეწყვეტთ ბრძოლას და ისევ გავაგრძელებთ სამშვიდობო მოლაპარაკებს აფხაზებთან. თუ ეს ვერ მოხერხდა იძულებული გავხდებით გამოვაცხადოთ მასიური მობილიზაცია და ვიბრძოლოთ ბოლომდე—საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად, რადგან დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლება, მეტნაკლებად ხელს აძლევს აფხაზ სეპარატისტებს თავიანთი მზაკვრული მიზნების განხორციელებაში, თუნდაც აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნისთვის ფიქრში.

საუბარი ჩაიწერეს

ნ. მოსიძემ,
მ. ჯონჯუამ.

ჩვენ ერი ვართ

ეროვნული ინტერესების ერთიანობა

ეროვნული ინტერესების ერთიანობა

ეროვნული ინტერესების ერთიანობა

აქტუალური ინტერვიუ

დღევანდელმა გაუსაძლისმა ყოფამ სრული სიმკვეთრით წარმოაჩინა ფართო სპექტრი უზნეობისა. ყოველ ნაბიჯზე ქურდობა, თაღლითობა, ბეზღობა, გაუტანლობა და ა. შ. ერთნი ამას შიდა დესტაბილიზაციას მიაწერენ, სხვანი კიდევ თავისებურ ახსნას ეძებენ. ასეა თუ ისეა, სახეზეა უსასტიკესი რეალობა: სულმოკლეობის ამდაგვარი დიფუზია შინაგანი ზნეობრივი არასტაბილურობიდან იღებს სათავეს. და ფიქრის ამდაგვარ კონტექსტში ძალაუნებურად იაზრებ განსაკუთრებულ როლს ეკლესიისა. სწორედ ამ მიზნით ვეწვიეთ მოძრაობა „ჭყონდიდელის" წარმომადგენლები ცაიშის ეკლესიის წინამძღვარს მამა ამირანს.

ჩვენი საუბრის მცირე ფრაგმენტს დღეს ვთავაზობთ მკითხველს:

მამაო ამირან. რას მივაწეროთ ქართველთა დღევანდელი გაჭირვება. საიდან დაგროვდა ერში ამდენი მანკიერება, ქვეყნის დამაქცევარი ჩვევა—მიდრეკილებანი. რაში ხედავთ ხსნის გზას, თუ კი ის არსებობს საერთოდ?

—რაღათქმა უნდა, იგი არსებობს. ჩვენი ხალხი, მოგეხსენებათ, ათას ისტორიულ ღველფსა და ღადარში გამოწრთობილი გახლავთ. ბევრჯერ უფსკრულის პირას გაუვლია, მაგრამ ყოველთვის გამოუნახავს საკუთარ თავში ძალა, რათა დაეძლია შინაგანი ვარამი და ხმალშემართულს მოეგერიებინა ათასი ჯურის მოშურნე და მაოხარი. განსაცდელის ჟამს ერის კაცები და საეკლესიო მოღვაწენი ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ მამულის, ენის, სარწმუნოების გადასარჩენად. ქრისტეს რჯული იყო ის ძლევამოსილი დროშა, რომლის ქვეშ ერთიანდებოდა ერი და ბერი. გადახედეთ, რამდენი მოწამის სხივფენილი სახე შემოგვცქერის ისტორიის ანალებიდან. გრიგოლ ხანძთელი, არსენ ბერი, ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი ჭყონდიდელი, მღვდელი თევდორე, ქეთევან წამებული და სხვანი ქრისტესმიერი სიბრძნით და სიყვარულით აწრთობდნენ და აღამაღლებდნენ თანამემამულეებს. იცით, ჩვენი სამშობლოს ყველაზე სვებედნიერ საუკუნეებში რა ანიჭებდა სულიერ ძალმოსილებას ადამიანებს? ისევ და ისევ ეკლესიები, ჩვენი სალოცავი ტაძრები, სადაც ხდებოდა ცოდვებისაგან. გაწმენდა, მონანიება ღვთიური მადლითა და კეთილგონიერებით სულის ავსება. ბუნებრივია, ყველა ეს საეკლესიო რიტუალები თავის განძანილებლურ დატვირთვას, ეთიკურ პრინციპებთან ზიარების ხასიათს იღებდა. როდის ხდებოდა ერის სულიერი გაღარიბება, ზნეობრივი გადაგვარება? მეტწილად უცხოეთის ექსპანსიების პირობებში. ეკონომიკური სიდუხჭირე ძალას აცლიდა მრევლის სულიერი სრულყოფილებისათვის ღვაწმეცადინეობის ბერკეტებს, იერიში მიჰქონდა სალოცავებზეც. მაგრამ ეს უკანასკნელნი მაინც ურყევად იდგნენ. მრევლი, ვითარცა მწყურვალი წყაროს, ისე ეწაფებოდა კეთილგონიერებით მოსილი სულის კაცების საუფლოს. იცით, რამ გამოიწვია თვისტომის სულიერი პარტახი ჩვენს საუკუნეში? რათქმა უნდა, ეს კარგად მოგეხსენებათ ყველას და არაერთგზის ახსნილ-გაანალიზებულიცაა, მაგრამ მე მაინც ჩემებურად ვიტყოდი: საკუთარ ისტორიას, მის შორეულ ფესვებს, წინაპართა შეურყვნელ ზნეობას და ღირსების კოდექსს მოწყვიტეს ხალხი. სიტყვა „მამულიშვილი", „რაინდული ზნეობა და მისთანანი გაქრა ქართული ლექსიკონიდან. უფლის რწმენისგან განდგომილნი ძე—შეცდომილნი ზნეობრივი ნორმების ტოტალური გათელვის საფასურად იხვეჭდნენ მიწიერ სიამეს, ხდებოდნენ შურიანები, ხარბნი, ეგოისტები, ამპარტავნები.

ჩვენ ბევრი უნდა ვიღვაწოთ იმისათვის, რათა ქართულ ჩოხა-ახალუხზე, ნაბადზე, თუ ყაბალახზე კი არ ქირქილებდეს ქართველი კაცი, არამედ ქრუანტელი უვლიდეს. თუ ქართველი კაცი ბაგრატის ტაძრის ორნამენტმა არ ააღელვა, თუ „ოდოიას" ღვთაებრივმა ჰანგმა არ მონუსხა, „ვეფხისა და მოყმის -ბალადამ" არ ჩააფიქრა, მას ვერაფერს უშველის დასავლური კულტურის ფსევდონიმუშებთან ლაციცი.

ეკლესიურ ცხოვრებასთან მრევლის მობრუნება სწორედ იმიტომაცაა საშური, რომ ქართველი კაცი, როგორც ბიოლოგიური, ისე ესთეტიკური ფენომენი არ განიძარცვოს ღვთის მიერ ბოძებული ეროვნული ნიშნებისაგან. წინაღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სხვათა მსგავსად წაგვლეკავს მსოფლიოში ავად აშლილი დენაციონალიზაციის ტალღა. თუმცა მაინც მჯერა ამ ტენდენციის კრახისა, რამეთუ იგი ეწინააღმდეგება წუთისოფლის მოძრაობა-განახლების მარადიულ, ბუნებრივ წესს, თვით უფლის ნებას.

—როგორ უყურებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ადამიანის ცოდვით დაცემის და მისი მორალური კვლავ ამაღლების მარად თავსატეხ პრობლემას?

—ძველი დროის საეკლესიო მამები ბოროტებას იაზრებდნენ, როგორც სიკეთის არასრულყოფას, უფრო მეტიც, მის არარსებობას. სახარებაში აღძრული ეთიკური პრინციპები უპირველეს ყოვლისა ეფუძნება სიკეთის ერთადერთობის, ცოდვათა მონანიების გზით დაძლევის იდეას. იოანე ოქროპირი ამბობს: „ფრიად ვცოდავთ, ძმანო ჩემნო, საყუარელნო, ყოვლადვე გონებათა, სიტყვითა და საქმითა. და ესე უწყოდეთ ჭეშმარიტად". ამიტომაც, მხოლოდ და მხოლოდ მონანიებაა ერთადერთი გზა ხსნისა და ეს მონანიება ყოველთვის და ყოველგვარ ფორმაში უნდა გამოვლინდეს. ბოლოს და ბოლოს ეკლესიის უზენაესი მისია სხვა არადეგ რა ქრისტესთან ერთად,—ბრძანებს გრიგოლ ღვთისმეტყველი,—ახალ ქმნილებად იქმენ, რომელი განმზადებულ არს კეთილ საქმეთა აღსრულებად. დე, განახლდეს სრულად ცხოვრება შენი და გზა შენი მოღვაწეობისა განახლდეს სრულად".

—მამაო ამირან. ამ ბოლო ხანებში ხშირად გვსმენია ჩვენი თანამემამულეებისაგან სურვილი ჩვენს რეგიონში, სახელდობრ ცაიშის ეკლესიაში საეპისკოპოსო კათედრის დაფუძნების თაობაზე. ცნობისმოყვარეობას ამძაფრებს იმის შეგნებაც, რომ მისი სტატუსის აწევით მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი ქრისტიანული რწმენის, ქრისტიანული მსოფლგაგების დანერგვის ასე საშურ და ცხოველმყოფელ პროცესს სამეგრელოში. რას გვეტყოდით ამ საკითხთან დაკავშირებით?

მოგახსენებთ: ცაიშის ღვთისმშობლის ტაძარი ერთერთი უძველესია სამეგრელოს რეგიონში. ცაიშელი ეპისკოპოსები მე-11 მე—13 საუკუნეებშიც იხსენიებიან მაგრამ ირკვევა, რომ ეკლესია აქ უფრო ადრე ყოფილა.

საინტერესო მასალები მოიძია ჩვენი სოფლის მკვიდრმა, პროფესორმა მამანტი პაჭკორიამ. მან მიანიშნა იმ გარემოებებზე, რომ მეცხრე საუკუნის ბერძნულ წყაროებში, კერძოდ ცნობილი სასულიერო მოღვაწის ბასილ სოფენელის საეკლესიო სიბუთებში მე-7 საუკუნიდან დადასტურებულია ცაიშში საეპისკოპოსოს არსებობა. ამ სიბუთებში ნახსენები „საისი" პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის მტკიცებით იგივე „ცაიშია". —

1614 წელს ცაიშ—ის ტაძარი დაუნგრეიეია მიწისძვრას, რომელიც მალე აღუდგენიათ და მას შემდეგ შენობას არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

ერთი სიტყვით, ამ და სხვა წყაროებით დასტურდება, რომ სამეგრელოში ინტენსიური საეკლესიო ცხოვრება ჩქეფდა და მას ღვთის შეწევნითა და კურთხევით უძღვებოდნენ ჭყონდიდის. ცაიშის, ფაზისის, ხობის, წალენჯიხის, მოქვის, ბედიის ეპარქიები.

ცაიშის საეპისკოპოსოს აღდგენა რეალურ საქმედ მესახება. მით უფრო, როცა მოსახლეობაში ამის სურვილი და დაინტერესება დღითიდღე სულ უფრო ღვივდება. ახლა საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ამ საშვილიშვილო საქმის დასაგვირგვინებლად.

—ახლა ხშირად გაისმის საუბარი საერთო კავკასიური ცნობიერების შესახებ. როგორ განმარტებას მისცემდით თქვენ, ღვთის მსახური, ამ ფენომენს. კავკასიელი ხალხების სულიერი დაახლოების გზაზე რაიმე წინაღობებს ხომ არ ქმნის განსხვავებული სარწმუნოებრივი აღმსარებლობის ფაქტორი?

—კავკასიაში მოსახლე ხალხების სისხლით ნათესაობის, ძმობის მეცნიერული თეორია ჯერ კიდევ მე—11 საუკუნიდან მომდინარეობს. ისტორიიდან გახსოვთ ალბათ. ლეონტი მროველი მიანიშნებს, რომ ქართველები და სხვა კავკასიელი ხალხები ერთი მამამთავრისგან — თარგამოსისაგან მომდინარეობენ. დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ისინი ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ.

მკითხველისთვის ცნობილია აგრეთვე ცნობილი ენათმეცნიერების არნოლდ ჩიქობავას, ქეთევან ლომთათიძის და სხვათა დასაბუთებული კონცეფციები ქართველებისა და ჩრდილო კავკასიელი ხალხების სულიერი ნათესაობის თაობაზე. მართალია, სხვადასხვა აღმსარებლობა ჰქონდათ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ბევრრამ გვქონოდა საერთო კულტურულსულიერ ფასეულობათა ურთიერთმიმართების სფეროში. საოცარ თანხვედრის მომენტებს იპოვით ეთნო-ფსიქიკური თავისებურების, ტრადიციული წეს-ჩვეულებების, საერთოდ ცხოვრების წესის იდენტურობის სფეროში. ასე, რომ იბერიულ-კავკასიური ერთობა თვით უზენაესის მიერ ქურთხეულ გზად მესახება, რომელიც ღვთიურ მადლსა და სიყვარულს გაამრავლებს მოძმე ხალხებს შორის. თავს ვიკავებ რაიმე პოლიტიკური პროგნოზებისაგან, მაგრამ ბოლო ამოსუნთქვამდე ვიქნები, რომ ერის ჭეშმარიტმა შვილებმა ამ პრობლემისადმი მიმართებაში ფხიზელი აღლო და ისტორიული პერსპექტივის რეალურად ჭვრეტის უნარი იქონიონ.

—არა გვგონია დღეს კოლხეთში დაიარებოდეს კეთილი ნების ადამიანი, მეტადრე მორწმუნე, ვინც არ მიესალმოს უმდიდრესი სულიერი კულტურის მქონე კუთხეში სასულიერო სასწავლებლის გახსნის იდეას. ეს აზრი მოსახლეობის ფართო ფენებში უკვე მომწიფდა. საინტერესოა, თქვენი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი.

—ბოლშევიკური რეჟიმის ანტიჰუმანური ხასიათი სწორედ იმაში გამოიხატა, რომ მან ღვთის სიყვარული და რწმენა დაუკარგა ადამიანებს. დაინგრა ეკლესიები, დაიტაცეს, შებილწეს ხატები და ფრესკები, ჩაახშეს საეკლესიო ცხოვრება. ფაქტიურად ღვთის შვილი გაუყენეს ადამიანური სახის, ღვთაებრივი საწყისის თანდათანობით წაშლის გზას. ყველაზე დიდი უბედურება ის გახლდათ, რომ საბჭოურმა იდეოლოგიამ ქართველ კაცში ჩაკლა ეროვნული სული. იოანე ლაზისა და პეტრე იბერიელის, ჭყონდიდელისა და ილია ჭავჭავაძის ცნობიერება. ჩვენ სულმნათი შოთა რუსთაველის მრავლისმთქმელი სტრიქონები მუდამ მოესალბუნება ქართველის გულს. „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითაო"—ბრძანა პოეტმა. ამ გაუხუნარი დევიზის ხორცშესხმა უპირველეს ყოვლისა ქრისტიანული სულიერების, ჭყონდიდლური მსოფლმხედველობის დანერგვით უნდა მოხდეს.

ნებისმიერ ადამიანს, ჩინოსანს, თუ უჩინოს, ვისაც ელემენტარული კეთილგონიერება და პატრიოტული გულისთქმა შერჩენია, ამ კეთილშობილური განზრახვის ხორცშესასხმელად თავისი წვლილის გაღება არ უნდა დაეზაროს. ბოლოს და ბოლოს წარსული დიდების შუქფენილი ძეგლები: ფაზისის აკადემია, დასავლეთ საქართველოს საპატრიარქო, არაერთი ეპარქია მასთან მოქმედი სემინარია— სასწავლებლებით გვაკრანახობს ისევ ავაღორძინოთ მართლმადიდებლური რწმენა, დავუბრუნოთ ხალხს ქრისტესმიერი რჯულმოსილება, ვამხილოთ და ავღკვეთოთ სხვადასხვა სექტების: ბაფტისტების, იეღოველების, ორმოცდაათიანელების, კრიშნაიდების საზიანო საქმიანობა, რომლებიც ერის სულიერი გაერთიანების კი არა, გათიშვის ავ საქმეს ემსახურებიან.

მე ღრმად მჯერა: ჩვენთან უცილოდ გაიხსნება სასულიერო სასწავლებელი და იგი სხვა სულიერ კერებთან ერთად თავის თავზე აიღებს მრევლის ზნეობრივი სრულყოფილების მისიას.

„ენა, მამული, სარწმუნოება"—ეს ტრიადა იყო და კვლავაც იქნება ქართველი კაცის სასიცოცხლო დევიზი. ამ უზენაესი ღირებულებების გადარჩენისათვის ბრძოლის გზაზე სანამ იგი ამაყი და ქედუხრელი ივლის, მუდამ ჟამს ფარავდეს იქნება უფალი.

მხოლოდ უფლის და ერთურთის სიყვარულით გაბრწყინდება მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა.

ესაუბრა ზ. ცხოვდია.



არამედ ვდგავართ რწმენით, რათა ვიხსნათ სული...

პრობლემა

მეტი ყურადღება—საკრებულოებს

მინდა დავიწყო იმით, რომ თუ დროულად არ მოხდა კონკრეტული, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ზუგდიდში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დასაღწევად —გვემუქრება საშინელი შიმშილი —აღნიშნა ჩვენთან საუბარში ზუგდიდის რაიონის საკრებულოს მდივანმა გურამ წულაია. —ზუგდიდში დიდი შეფერხება არ ყოფილა ხორბლის გამოყოფაზე (აქ ნაჯულისხმევია ფონდირებული). მიუხედავად ყოველივე ამისა, მოსახლეობა არ იქნა დაკმაყოფილებული. მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან მაისის თვემდე შემოსული ხორბლის რაოდენობა საკმარისი იყო იმისათვის, რომ ქალაქისა და რაიონის პურსაცხობებში საშუალოდ გამომცხვარიყო 35-38 ტონა პური. მე, როგორც რაიონის საკრებულოს ხელმძღვანელს უფლება არა მაქვს არ შევეხო ისეთ კარდინალურ საკითხებს, რომლებიც ყველა შემთხვევაში უშუალო კავშირშია მოსახლეობასთან. ადგილი აქვს საკრებულოს სრულ დისკრეტიზაციას. არანაირი საშუალება არა გვაქვს იმისათვის, რომ გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები საქმიანი საკითხების გადასაწყვეტად. ჩვენ მოვითხოვთ საკრებულოს, როგორც ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს ბანკში საკუთარი ანგარიში ჰქონდეს და აგრეთვე იმ მინიმალური აპარატის კვლავინდებურ აღდგენას, რომელიც მანამდე არსებობდა.

ჩვენს მიერ რამდენიმეჯერ დაისვა საკითხი ზუგდიდის გამგეობის აპარატის წინაშე, რომ რაიონის საკრებულოსათვის მინიმალურად მაინც გამოეყოთ სოფლებში გასანაწილებელი საქონელი, ეს რომ ასე მომხდარიყო, ნაწილობრივ მაინც ავიცდენდით მოსახლეობის იმ სიდუხჭირეს, რომელიც დღეს არსებობს. რა დასამალია, რომ ზუგდიდის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის აპარატის თანამშრომლებს უფრო მიუწვდებათ ხელი საწვავზე და ტრანსპორტზე.

ძალიან ცუდი შედეგი მოგვცა კადრების შერჩევის გაუმართლებელმა მეთოდმა. გაუგებარია, რა ხერხებით ხდება დღეს ზუგდიდში კადრების დაკომპლექტება. ჩვენ ოფიციალურად მივმართეთ ბატონ ოთარ ფაცაციას იმის შესახებ, უფრო მკაცრი კონტროლი დაეწესებინა სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფ ორგანიზაციათა მესვეურებზე, იმ მიზნით, რომ ყოველდღიური საქმიანი კონტაქტები ჰქონოდათ მოსახლეობასთან.

ჩვენი საკრებულოს დავალებით რამდენიმე ინტერვიუ მივეცი ადგილობრივ გაზეთს, სადაც გამოკვეთილად სჩანდა ის პოზიციები, რომლებიც პირდაპირ შეეხებოდა სოფლის მეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოების დროულ ჩატარებას, მაგრამ ამას რეაგირება არ მოჰყოლია.

მიუხედავად არანაირი პირობებისა, თვეში ერთხელ მაინც ვატარებდით საკრებულოს სხდომებს, მაგრამ არასოდეს გამოცხადებულან გამგეობის წარმომადგენლები. გარდა ბატონი ლ. ჭითანავასი. მართალია სხდომები ჩატარდა, მაგრამ დაყენებული საკითხები მაინც დარჩა გადაუჭრელი. ალბათ მკითხველებისთვის გასაგებია, თუ რა პირობებში უხდება მუშაობა ჩვენს საკრებულოს.

ჩემის აზრით, დადგა ჟამი იმისა, რომ მოვითხოვოთ ის, რაც აუცილებელია ჩვენი ნორმალური მუშაობისათვის, ე. ი. პირველ რიგში უმოკლეს დროში ბანკში უნდა გაიხსნას ანგარიში, ხელფასი მიეცეს იმ პირებს, რომლებიც თვეების განმავლობაში მუშაობენ უხელფასოდ და სხვათაშორის აკეთებენ ძალიან დიდ საქმეს. ამით ფაქტიურად შეგვექმნება ის მინიმალური პირობები, რაც საჭიროა ჩვენი შემდგომი მუშაობისათვის.

და კიდევ ერთი რამ: აუცილებლად მიმაჩნია გამგეობაში რეზიდენცია ჰქონდეს ქალაქში, ვინაიდან უკიდურესად უჭირს სოფლის მოსახლეობას ქალალდის კომბინატში სიარული.

სულ რაღაც ერთი თვეა, რაც შეიქმნა სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდი, ფონდის პერსპექტივა გარდუვალია.

სწორედ ამ საკითხებზე მინდოდა გამემახვილებინა თქვენი ყურადღება. ალბათ მომავალში ინტერესმოკლებული არ იქნება საზოგადოებისათვის, თუ ჩვენთან აქტიურად ითანამშრომლებენ და უშუალო საქმიან კონტაქტს დაამყარებენ ჟურნალისტები.

ესაუბრა თ. როგავა.

სრულ ლტოლვილები საქართველოს დოლარებს ჰპარავენ...

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის შრომის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის განყოფილებასთან შექმნილ იძულებით გადაადგილებულთა განსახლების კომისიას ამ დღეებში სერიოზული სამუშაოს ჩატარება მოუხდა. რიგი მიზეზების გამო აუცილებელი გახდა ზუგდიდში და მის სოფლებში მყოფ აფხაზეთიდან ლტოლვილთა ხელახალი რეგისტრაცია.

ჩვენ შევხვდით იძულებით გადაადგილებულთა კომისიის თავმჯდომარეს ბადრი დარასელიას. აი, რა გვითხრა მან:

—იძულებით განსახლებულთა ხელახალი რეგისტრაცია, მიუხედავად იმისა, რომ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული აუცილებელი ხდება. ადრე აღრიცხვის შედეგად ზუგდიდში 9876 ლტოლვილი უნდა იყოს. (აქედან 6725 რაიონზე მოდის, დანარჩენი კი ქალაქზე), რაც ეჭვს იწვევს. დღეს ოფიციალურად გამოცხადებული რეგისტრაციის ბოლო დღეა და მხოლოდ ოთხი ათასამდე ლტოლვილი გატარდა რეგისტრაციაში. გადაწყვეტილი გვაქვს, კიდევ სამი დღე გაგრძელდეს ეს პროცესი, მაგრამ ვეჭვობთ, დიდი-დიდი ათასზე მეტი ადამიანი დაემატოს დღეს არსებულ რიცხობრივ მონაცემს. არადა, ადრე გადმორიცხული დახმარების თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა. ჩვენ გავარკვიეთ, რომ ეს ძირითადად არაშრომისუნარიანებზე არასწორად გაცემულმა დახმარებამ გამოიწვია, რაც სახელმწიფოს მაშინ არ ჰქონდა გათვალისწინებული. აშკარაა, ბევრ სოფელში ლტოლვილის მოწმობის გაცემა მოხდა ზერელედ, უპასუხისმგებლოდ. ამბობდნენ 400-500 ლტოლვილი გვყავსო, სინამდვილეში, როგორც ჩანს 60-70 თუ ყავთ. შეგახსენებთ: იძულებით გადაადგილებულთა განსახლების კომისიამ ლტოლვილთა აღრიცხვა და ცნობების გაცემა მიანდო ქალაქში —ქუჩის კომიტეტებს, სოფლებში კი— საკრებულოებს. ეტყობა, იქ ნებსით თუ უნებლიეთ დარღვევები მოხდა. მომრავლდა „მკვდარი სულების“ რიცხვი. ბევრი ლტოლვილი ადგილზე არ იმყოფება, მის სახელზე კი გაცემულია მოწმობა. ერთ მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: ამ ბოლო თვეებში ერთადერთი ჰუმანიტარული დახმარება, რაც ლტოლვილებზე გაიცა, ეს იყო სამი კილო ბრინჯი უფასოდ. აქვე უნდა აღინიშნოს, ესეც ქუთაისელთა დიდი დახმარების შედეგია, თორემ ზუგდიდში არაფერი მოდის ლტოლვილებითვის (ისე ჭორებს კი ავრცელებენ —სოხუმში რაც ჰუმანიტარული დახმარება მიდის, ლტოლვილებისთვის ზუგდიდში იგზავნებაო). წარმოიდგინეთ, ბრინჯი გადაგვრჩა და ძარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ მოვითხოვეთ პიროვნულად გამოცხადებულიყო თითოეული ლტოლვილი და ოავად მიეღო მისი ულუფა. აქ აშკარა გახდა, ლტოლვილთა რეგისტრაციაში რაღაც გაუგებრობა ხდებოდა. მეტიც, როგორც ხმები მოდის, ბევრმა ზუგდიდელმა ხელში ჩაიგდო ლტოლვილის მოწმობა, რომელიც სერიოზული შეღავათით სარგებლობს თურქეთის საზღვარზე. ლტოლვილები არ იხდიან იმ აუცილებელ ათ დოლარს, რომელსაც სხვა რიგით მოქალაქეებს სთხოვენ. მაგრამ ეს დოლარები ეწერება ჩვენს ისედაც გაძარცვულ, დაბეჩავებულ საქართველოს... თანაც ყოველდღიურად მატულობს ასეთი სახის ვალის ოდენობა.

მიმდინარე რეგისტრაცია ვერ ვიტყვი სასიამოვნო პროცესი იყო რომელიმე მხრისთვის, მაგრამ აუცილებელია. სოფლიდან უჭირთ ჩამოსვლა, რიგებია, იღლებიან, ნერვიულობენ, მაგრამ... რა ვქნათ? ამ დღეებში, საქართველოს. იძულებით გადაადგილებულთა კომიტეტიდან მივიღეთ წერილი, რომელსაც ხელს აწერს აფხაზეთის ადამიანთა უფლებების დაცვისა და ეროვნებათშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ე. ასტემეროვი. წერილის შინაარსის მიხედვით ლტოლვილთა სტატუსი არ მიეცემათ გულრიფშისა და გალის რაიონებიდან გადაადგილებულ მოქალაქეებს, გარდა გამონაკლისი სოფლებისა: ბედია, წარჩე, ჩხირტი. არადა, მარტო გულრიფშიდან რეგისტრაციაში 800 ლტოლვილია გატარებული. ვფიქრობ, თვითონ ამ მოქალაქეებმაც უნდა იზრუნონ თავიანთ თავზე, მიაწვდინონ ხმა, სადაც ჯერ არს და გაარკვიონ თავიანთი უფლებები.

მკითხველს ალბათ, აინტერესებს, რა სიახლეებია ლტოლვილთა დახმარების საქმეში ერთადერთი რაც ოფიციალურად ჩვენთვის ცნობილია, ესაა, რომ პირველი ივნისიდან თითოეულ სულზე დახმარების სახით გაიცემა 4600 მანეთი. დღეისათვის კი მარტისა და აპრილის თანხებია მხოლოდ გაცემული ნაწილობრივ სხვა დახმარებებზე (სურსათის სახით) არის მხოლოდ შეპირებები და ისიც სრულყოფილი რეგისტრაციის შემდეგ.

საუბარი ჩაიწერა ნ. მოსიძეს.

„არც უწიგნურობა ვარგა...“

ციალა ხაზალია ათეულ წელზე მეტია ჩაის №1 ფაბრიკის სამკითხველოს გამგე-ბიბლიოთეკარია. წიგნის ფასი იცის ამ მოკრძალებულმა ქალბატონმა, გენოვნებაც დახვეწილი აქვს. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები ხშირად მის მიერ ამორჩეულ ლიტერატურას ეცნობოდნენ და სხვათაშორის კმაყოფილნიც რჩებოდნენ თურმე. მაგრამ ეს ადრე, ახლა კი... დილიდან - საღამომდე, შეიძლება ისე მოხდეს, რომ არავინ შემოიხედოს სამკითხველოში, — გვითხრა ქალბატონმა ციალამ... ეტყობა, დრო მოვიდა ასეთი... დღეს წიგნები იმდენად არ აინტერესებთ უფრო გაზეთებით ერთობიან. პოლიტიკური ბუმია საქართველოში. გაზეთებიც ჩომ ხან ერთ პოლიტიკოსს ლანძღავენ, ხან მეორეს ასხამენ ხოტბას. სამწუხაროდ, ადამიანებს ასეთი ჟანრის წერილების გაცნობა უფრო გვახიჩებს სიამოვნებას, ვიდრე ეროვნულ თუ საზღვარგარეთულ ლიტერატურას ჩაღრმავება.

ჩვენთვის გასაგებია ქალბატონ ციალას გულისტკივილი. წიგნებთან დაახლოებულს, ორი კარგი შეიღლ დედას არ ესწავლება, რომ ცოდნას და ინტელექტს მარტო ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზია არ იძლევა. იმ საქართველოს, რომლის საძირკველში დღეს ქართული სისხლი იწურება განათლებული, სულიერად ჯანსაღი მოქალაქე სჭირდება. გავიხსენოთ, ილია, „არც უწიგნურობა ვარგაო“, ბრძანებდა ერის მამა.

მაკა ხვინგია.

შუალამეა

(ჩანახატი)

შუალამეა...

ჩემი თვალები, მონატრების სევდით მთვრალები, სიმყუდრო—ოვეში თესლოვან სამყაროს ხატავენ. დაღლილი ვარ თით—ქოს, სულს არ ეძინება.

ფიქრები, ფიქრები... საოცარი არსებები. უსულონი და მაინც ცოცხლები, ფერიც აქვთ, ხმაც, სმეაც.

ფიქრები —ჩემი მეგობრები არიან, გარს მახვევიან, სუნთქვა მიჭირს.

ჩემი ფიქრები ლამაზი, თეთ—რი ეტლი გავუგზავნე მას.

ხედავ?

აი, მ ი ღ ო, მიიღო და მეც ვშშვიდდები.

რა კეთილია!

შვებამ მ ი ც ვ ა ჩემი სული და სხეული. მოვიდა ჩემი სიზმრებისა და ლამეების ვარდისფერ დედოფალი—სიმშვიდე.

ახლა იგი ჯადოსნურ მარაოს ქანევს და დავიძინებ, ჩემს ცისფერ სამყაროში, ჩასვენებული დაველოდები მთიებს.

დავიძინებ...

ნანა ხვიტია.

სპორტული ცხენეგი შველას ითხოვენ!..

ძნელია იმ ფაქტის აღწერა, რაც რუხის საცხენოსნო იპოდრომში ვნახეთ, გაპარტახებული და დანგრეულია სპორტული კლუბის შენობა, ცხენთა სადგომები, მოუწესრიგებელია სარბენი მინდორი. ერთი სიტყვით მეცადინეობა თითქმის შეუძლებელია. არადა ზუგდიდელები, და არა მარტო ზუგდიდელები, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები, აქ ნახულობდნენ რესპუბლიკურ თუ რაიონულ შეჯიბრებებს და დიდად კმაყოფილნი რჩებოდნენ. ახლა კი თითქმის ორი წელია, რაც არცერთი ღონისძიება არ ჩატარებულა,— აღნიშნა ჩვენთან საუბარში რუხის საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის დირექტორმა ბატონმა რინოს შენგელიამ.

ჩვენ ვიცით, თუ რა მდგომარეობაა მთელს რესპუბლიკაში, და მათ შორის ზუგდიდში, მაგრამ სპორტს და ცხენოსნობას მაქსიმალური ყურადღება სჭირდება. ორ წელზე მეტია, რაც ჩვენს კომპლექსში არ ჩატარებულა არავითარი ღონისძიება, ვიწყიდან განვიცდით უმძიმეს ფინანსურ —ეკონომიკურ კრიზისს. მსგავს მდგომარეობაშია რესპუბლიკისა და რაიონის ბიუჯეტი. ცხენებს საჭმელისათვის განპირობებული რაციონი დროულად არ მიეწოდებათ მისი უქონლობის გამო. ამას თან ახლავს მეცადინეობების სისტემატური შეფერხება, უფრო მეტიც, სპორტსმენები დათხოვნილია სამსახურიდან ხელფასის უქონლობის გამო.

მიმდინარე წელს დიდთოვლობისა და საწვავის მწვავე დეფიციტის ფონზე ვერ მოხერხდა საკვების დროულად მომარაგება. სწორედ ამან განაპირობა სამი სპორტული ცხენის დაცემა. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ ადგილობრივ ხელმძღვანელ ინსტანციებს, მაგრამ არავინ იყო გამკითხავი და გამგონე იძულებული შევიქენით თანადგომა გვეთხოვა ეროვნული გვარდიის სარდლობისათვის, რაც დაკმაყოფილებულ იქნა.

ცხენოსნობის განვითარებისა და ნორმალურად მეცადინეობისათვის პირველ რიგში საჭიროა საკვები —შვრიისა და თივის შეძენა, სპორტსმენების ხელფასებით დაკმაყოფილება.

თუ ეს საკითხი დროულად ვერ დარეგულირდა, საცხენოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია იძულებული გახდება მოახდინოს მისი სრული ლიკვიდაცია.

ჩვენი საუბრის დასასრულს მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთ „ოდიშის“ საშუალებით მივმართო ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს— გამოგვიწოდონ დახმარეისა და მხარდაჭერის ხელი სპორტული კომპლექსის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების საქმეში. ეს იქნება მათი მხრიდან დიდი მამულიშვილური საქმე.

ესაუბრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი

ვეფხია მაღლია.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის განცხადება

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს ვაკანტური ადგილების დასაკავებლად შემდეგ სპეციალობებზე:

1. **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა** დოცენტის თანამდებობაზე— 1 საშტატო ერთეული.
2. **უცხო ენების კათედრა** (რუსული ენა და ლიტერატურა) პროფესორის თანამდებობაზე —1 საშტატო ერთეული.
3. **აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის კათედრა** პროფესორის თანამდებობაზე —1 საშტატო ერთეული.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორატი.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

აცხადებს აბიტურიენტების მიღებას 1993-94 სასწავლო წლის ღრის დ ს ღამოს სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

ქართული ენა და ლიტერატურა, დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა. უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, რუსული), **ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა, სამართალმცოდნეობა** (დღე, საღამო), **გეოგრაფია** (საქართველოსა და **საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფია** (დღე, საღამო), **მაკროეკონომიკა** (დღე, საღამო), **საფინანსო და საბანკო საქმიანობის მენეჯერი** (დღე, საღამო), **მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯერი** (დღე, საღამო), **ისტორია** (დღე, საღამო), **აგრობიზნესი აგროსამრეწველო საწარმოთა მენეჯერი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი** (დღე, საღამო). **ნიადაგმცოდნეობა და ჰიდრომელიორაცია** (დღე), **სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია** (დღე), **დაკონსერვების ტექნოლოგია** (დღე).

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა საშუალო ან სპეციალური განათლების მქონე პირებს, რომლებიც წარმოადგენენ შემდეგ საბუთებს:

განცხადებას რექტორის სახელზე, ატესტატს ან საშუალო სპეციალური განათლების მოწმობას (დედანი), სამედიცინო ცნობა ფორმა №086—უ, ოთხ ფოტოსურათს (3X4), პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას, საბუთებს წარმოადგენთ პირადად.

საბუთების შემოტანასთან ერთად საგამოცდო მომსახურებისათვის აბიტურიენტი იხდის 5000 კუპონს.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. **ქართული ენა და ლიტერატურა** —ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
2. **დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია ((ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი).
3. **უცხო ენები** —უცხო ენა (ერთ-ერთი მაკროფილუბელი (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
4. **ფიზიკა**—ფიზიკა (წერა), მათემატიკა (ზეპირი) ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
5. **მათემატიკა** —მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
6. **ბიოლოგია, ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა** — ბიოლოგია (ზეპირი) ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
7. **სამართალმცოდნეობა** — სამართალმცოდნეობა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
8. **გეოგრაფია**—გეოგრაფია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
9. **მაკროეკონომიკა** —მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი).
10. **საფინანსო და საბანკო საქმიანობის მენეჯერი** — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
11. **მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯერი** —მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
12. **ისტორია**— ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).
13. **აგრობიზნესი** (აგროსამრეწველო საწარმოთა მენეჯერი, საგარეო აგროეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი), მათემატიკა (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი),
14. **ნიადაგმცოდნეობა და ჰიდრომელიორაცია** —ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
15. **სუბტროპიკული კულტურების და კონსერვების ტექნოლოგია**—ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ბიოსამედიცინო - ეკოლოგიური გენეტიკურ ფაკულტეტთან ფუნქციონირებს კოსმეტოლოგიური კურსები, რომელიც ანიჭებს პრაქტიკოს-კოსმეტოლოგის კვალიფიკაციას.

შენიშვნა: რუსული სკოლადამთავრებულები ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბარებენ რუსული სკოლებისათვის განკუთვნილ პროგრამით (გარდა ქართული ენისა და ლიტერატურისა და დაწყებითი სწავლების და პედაგოგიკის მეთოდიკის სპეციალობებისა).

უნივერსიტეტში სწავლების ვადა 5 წელია. ბიოსამედიცინო-ეკოლოგიური გენეტიკის სპეციალობაზე 6 წელი. სწავლება ფასიანია. რესპუბლიკაში მოქმედი ფულადი ერთეულების სწრაფი და განუხრელი ინფლაციის გამო სწავლების ექვივალენტად დადგენილია ამერიკული დოლარი, დოლარის ნაცვლად სწავლების საზღაურად მიიღება რესპუბლიკაში დღეისათვის მოქმედი ფულადი ერთეული (მანეთი, კუპონი), გადახდის მომენტისათვის კავკასიის ბირჟაზე მოქმედი კურსის შესაბამსად. სწავლების საფასურის გადახდა მოხდება ნაღდ ანგარიშზე ხელშეკრულების გაფორმების წესით, ან გადარიცხვით არსებული წესის მიხედვით.

მეორადი ფაკულტეტის მეორე კურსზე გასაუბრების შემდეგ ჩაირიცხებიან უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი.

საბუთების მიღება იწარმოებს 24 ივლისამდე დღიდან კონკურსის გამოცხადებისა, ყოველდღე 10 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. ზუგდიდი, ქარდავას ქ. №1 № 12 სამშენებლო ტრესტის შენობაში).

გამოცდები მოეწყობა 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე (ჩათვლით) კონკურსში გამარჯვებული აბიტურიენტები ჩაირიცხებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი 25 აგვისტომდე გადაიხდიან სწავლების წლიურ საფასურს ხელშეკრულების შესაბამისად.

ჩარიცხვა მოხდება 25-დან 30 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 6 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორატი.

ჩვენ თუ არ ვუპატრონეთ ...

უპირს საქართველოს... არის ომი, არის ტკივილები... უპირს ქართველ ხალხს...

პრობლემები თავზე საყრელად გვაქვს, მაგრამ ყველაზე გულსატკენი, საფიქრალი და სავალალო ომის შემდეგ ფულის პრობლემაა, ე. ი. კუპონი. ქართველობა იბრძვის თავისუფლებისათვის, ქართული ფული კი ჭირივით გვეზარება თითოეულს. რა ვქნათ?!

მეგობრის დაბადების დღეზე ბევდიოდით ამხანაგები. ბაზარში შევიარეთ. გამყიდველს კუპონი გავუწოდე,— ქალბატონო, ინებეთ-მეთქი. მან კი ცივი, უამური თვალები გამისწორა და ომახიანი ხმით მითხრა: ეგ ფარატინა კუპონი შენთვის შეინახეო. გამოვეკამათეთ, შეგონებაც ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. ყვირილი დაგვიწყო,— მომიყვანეთ, ბატონო, პოლიცია და გეტყვით რატომ არ ვიძლევი კუპონზეო...

ასეა ყველგან, კუპონით, თუ რაიმეს შეძენას დააპირებ, სალანძღავი სიტყვები არ აგცდება. რატომ?—ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან უჭირს ყველას.

ამას წინათ მაცხოვრის კარის ეკლესიაში ,ველ სალოცავად. კუპონებზე თუ ჰყიდით სანთლებს მეთქი, ვკითხე იქაურ მსახურს. დიახ ქალიშვილო, — იყო პასუხი; ქართული ფულია და, ბოლოს და ბოლოს, ეს უნდა შევიგნოთო...

ნაზი ლიცლიცით იღვენთებოდა სანთელი და წმინდა ხატების წინ დაჩოქილი გულმხურვალედ შევთხოვდი უფალს: ღმერთო, კვლავ შეაყვარე ქართველს ქართველი!

ლელა ნინუა.

სარედაქციო კოლეგია

ჭონქაძის ქუჩაზე მცხოვრები მეზობლები იუწყებიან

გია ვახტანგის ძე ავალიანის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა სვეტა, მამა ვახტანგი, ძმა დათო, ბებია ქსენია ქობალია, ბაბუა გიორგი ავალიანი, მამიდები: ეთერი, ლეილა, დეიდა ინეზა ყუფუნია, ბიძიები ვალერი ავალიანი, კუკური და აბესალომ ყუფუნიები, გოგი სიორდია, ილუშა ფიფია, ბიცოლები თინა ფონია, ლიანა ბუკია, ქეთო ჭურღულია, ჟანა ხასაია, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

გია ვახტანგის ძე ავალიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 ივლისს. დაკრძალვა 10 ივლისს, შაბათს, ზუგდიდში, გამოსვენება ჭონქაძის ქ..№54-დან 16 საათზე

მეუღლე ირინა, შვილები ბესიკი, ირაკლი, დედა ასმათი, მამა ბუხუტი, ძმა გოჩა, ძმისშვილები ნათია. მალხაზი, ბებიები: კატო. ვალია, ლუბა, სიდედრი ნათელა, სიმამრი ალმა ეზუხბაიები, ცოლისძმა რუსლან ეზუხბაია, ცოლისდები: სვეტლანა, მარინა, რძლები ზამირა, მანანა, ნესტანი, ინდირა. ქვისლები ბონდო ლაზიშვილი, შერმადინ ქობალია, მამიდა კლარა, დეიდები: გული. ციალა, ბიძეები: უშანგი შონია, ნუგზარი კუკავა, მეგონა მარღია, ომარი დარახველიძე, კოკი ჭანტურია, ზაური შონია ბიცოლები: ნორა, დუნა მზია, დეიდაშვილები ანზორი, ზვიადი, მამუკა ჭანტურიები, თამრიკო, ჯონი, დათო შონიები, ბიძაშვილები: ვიტალი, ეკა. პაატა მარღიები, ნუკრი, თეა კუკავები, მზია. ბოჩია, გიორგი შონიები, მამიდაშვილები, ვეფხვია, მაია დარახველიძეები, სიძეები არსენა ჯახაია, მელორი ბერიშვილი, ჯუმბერი ალანია ოჯახებითა და ახლო ნათესავებით იუწყებიან

ჰამლეტი ბუხუტის ძე შონიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 ივლისს, დაკრძალვა 10 ივლისს, დღით შაბათს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება თათარიშვილის ქუჩა №60-დან 18 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-22-07, ტირაჟი 700, შეკ. № 592